პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 48-ე წელი | № 134 (13826) | შაბათი, 10 ივნისი, 1967 წ. | ფასი 2 კაპ.

კომუნისტები და შეჯიბრება

მიჰქრიან დღეები დაძაბულ შემოქმედებითს შრომაში. და რაც უფრო ვუახლოვდებით დიდი ოქტომბრის სახელოვან 50 წლისთავს, მით უფრო ჩაღდება საყოველთაო სოციალისტური შეჯიბრება ამ მნიშვნელოვანი თარიღის ღირსეულად შეხვედრისათვის.

თავიანთი სიტყვის ერთგულნი არიან სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორები — ჭიათურელი მაღაროელები და სიღნაღელი მხვნელ-მთესველები. „შავი ოქროს“ ქალაქის მშრომელებმა მარგანეცის სასაქონლო პროდუქციის დამზადების ხუთი თვის გეგმა ათი დღით ადრე შეასრულეს და იბრძვიან ნახევარი წლის დავალების ასევე ვადამდე განაღდებისათვის. სიღნაღის რაიონში, სადაც სოციალისტური ვალდებულებანი უხვი მოსავლისათვის ბრძოლის კონკრეტულ პროგრამად იქცა, ახლა იმკიან თავდადებული შრომის პირველ ნაყოფს — იღებენ თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავალს.

საიუბილეო შრომითს ვახტზე დადგნენ მეჩაიეობის წამყვანი რაიონების მშრომელები. მახარაძელმა, ზუგდიდელმა და ქობულეთელმა მშრომელებმა ვალდებულება იკისრეს მიმდინარე ხეზონში გეგმის გადამეტებით მოკრიფონ დიდძალი „მწვანე ოქრო“. სარდაქციო ფოსტას უკვე მოაქვს ცნობები მეჩაიეთა ამ დიდი შრომითი ურთიერთგამოძახების სასიხარულო შედეგებზე.

ასეთი საქმიანი ატმოსფერო სუფევს ახლა ასობით და ათასობით შრომითს კოლექტივში. ოქტომბრის 50 წლისთავის აღსანიშნავმა სოციალისტურმა შეჯიბრებამ ჭეშმარიტად მასობრივი ხასიათი მიიღო.

ამ დღეებში განსაკუთრებით ნათლად ვლინდება კომუნისტთა ავანგარდული როლი შრომითსა და პოლიტიკურ ცხოვრებაში. ისინი აგრძელებენ ჩვენი პარტიის სახელოვან ტრადიციებს.

არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის, რუსთავის, ჭიათურის, ცხინვალის, ტყიბულის, გორისა და სხვა ქალაქების მოწინავე სამრეწველო საწარმოთა მიღწევებს მნიშვნელოვნად განაპირობებს კომუნისტთა დიდი ორგანიზატორული მუშაობა. ისინი ღრმად სწვდებიან საწარმოთა საქმეებს, ზრუნავენ მოწინავე კოლექტივების გამოცდილების დანერგვის, შეჯიბრების საჯაროობისა და მუშათა ეკონომიური ცოდნით შეიარაღებისათვის. პარტიული ორგანიზაციები ბევრი გზით ამაღლებენ ადამიანთა პასუხისმგებლობას მინდობილი საქმისათვის. ეს არის კომუნისტთა რეგულარული ანგარიშგება კრებებზე, ბიუროებისა და კომიტეტების სხდომებზე, შესრულების შემოწმების გაძლიერება, კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაზლა.

მაგრამ წარმატებათა საერთო სურათმა არ უნდა მიჩქმალოს ჩვენი ხარვეზები და ნაკლოვანებანი. რესპუბლიკაში ჯერ კიდევ არის ისეთი სამრეწველო საწარმოები, მშენებლობათა კოლექტივები, საზოგადოებრივი მეურნეობები, რომლებიც თავს ვერ არომშეევენ ხუთწლედის მეორე წლის დავალებათა შესრულებას. ეს კი იმიტომ ხდება, რომ ვალდებულებანი ეკონომიურად დაუსაბუთებელია, არ განმტკიცებენ მათ კონკრეტული ზომებით, რომლებიც შრომითს კოლექტივებს საშუალებას მისცემდა შეეხრულებინათ დასახული მიზნები. ჩვენში ჯერ კიდევ ცოტა როდია ისეთი სამეურნეო ხელმძღვანელი, რომლებიც მიჩვეულნი არიან ტრიბუნებიდან მყვირალა ციფრებით კვეხნას და მხოლოდ ამით დაკმაყოფილებას.

ნაკლოვანებანი, როგორც წესი, მეტია იქ, სადაც სუსტია პარტიული ორგანიზაციის მუშაობა, სადაც იგი აქტიურ გავლენას არ ახდენს წარმოებაზე. ერთი შეხედვით თითქოს ყველაფერი რიგზეა: პარტბიუროო სხდომებს აწყობს, კრებებს მართავს და გადაწყვეტილებები გამოაქვთ. მაგრამ ყოველივე ამის მიუხედავად საქმე ადგილიდან არ იძვრის. ეს იმიტომ ხდება, რომ გადაწყვეტილებები ოქმში რჩება. ნაცვლად იმისა, რომ ღრმად გაერკვნენ ჩამორჩენის მიზეზებში, ეკონომიური ანალიზი გაუკეთონ მათ, ზოგადი, არაფრისმთქმელი ფრაზებით კმაყოფილდებიან.

პარტია ვერ ურიგდება ფუჭსიტყვაობას. სიტყვისა და საქმის ერთიანობა ჩვენი ცხოვრების ურყევი კანონია. კომუნისტებმა ერთ წუთსაც არ უნდა დავიწყოს ლენინური სიტყვები, რომ ყოველი იუბილეს აღნიშვნის საუკეთესო საშუალებაა ყურადღება მივაპყროთ გადაუჭრელ საკითხებს.

სოციალისტური შეჯიბრება ცოცხალი, შემოქმედებითი საქმეა. ამ დიდსა და უმნიშვნელოვანეს საქმეში ძირფესვიანად უნდა აღმოფხვრათ ფორმალიზმის, ბაქიობისა და კაზიონურობის გამოვლინება. და ეს პირველ რიგში პარტიული კომიტეტებისა და პირველადი პარტორგანიზაციების მოვალეობას შეადგენს. მათ უნდა წარმართონ და კოორდინაცია უყონ სამეურნეო ხელმძღვანელებს, პროფკავშირის, კომკავშირის, ყველა მასობრივი ორგანიზაციის მუშაობას, რომლებიც ხელს უწყობენ შეჯიბრების განვითარებას.

ვალდებულების ყოველი პუნქტი განმტკიცებულ უნდა იქნას მოფიქრებული ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებებით. დასახული მიზნისათვის ბრძოლაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს კომუნისტის პირად მაგალითს.

ახალი პირობები უზრუნველყოფს სოციალისტური შეჯიბრების სხვადასხვა ფორმის გაშლის უფრო ფართო შესაძლებლობებს. სამეურნეო რეფორმის დროს ადამიანები ახლებურად უდგებიან საწარმოო ამოცანების გადაწყვეტას. ისინი აქცენტს იღებენ არა მარტო რაოდენობრივ, არამედ, უწინარეს ყოვლისა, ხარისხობრივ მაჩვენებლებზე, ისწრაფვიან უზრუნველყონ თავიანთ საწარმოთა რენტაბელური მუშაობა. საიუბილეო შეჯიბრების თავისებურებაა მორალური და მატერიალური სტიმულების ფართოდ, კვალიფიციურად გამოყენება.

ახლა იწყება შრომის საიუბილეო ვახტის ყველაზე პასუხსაგები ეტაპი. პარტიული ორგანიზაციების მთავარი საზრუნავი ის უნდა იყოს, რომ შეუქმნან ყოველ კოლექტივს, თვითეულ მუშაკს ნაყოფიერი შრომის პირობები, მოკლე ხანში აიყვანონ ჩამორჩენილი რგოლები და უბნები მოწინავეთა დონედე.

ოქტომბრის 50 წლისთავისათვის მზადება რევოლუციური აღზრდის სკოლაა. მშრომელთა კოლექტივების საიუბილეო შრომითი ვალდებულებანი, სოციალური განვითარების ამოცანები, მასობრივ-პოლიტიკური ღონისძიებანი იდეურად აიარაღებენ მშრომელებს, უჩვენებენ მათ ჩვენი ქვეყნის სახელოვან ნახევარსუკუნოვან ისტორიას.

ვიყოთ მუდამ ცხოვრების შუაგულში, ვასწავლოთ და ვისწავლოთ მასებისაგან, სათავეში ჩავუდგეთ მათს საწარმოო და პოლიტიკურ აქტივობას, წარმატებით შევასრულოთ საიუბილეო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი!

საკდესის ცნობა

მიფრინავს „კოსმოსი — 164“

1967 წლის 8 ივნისს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოსი-164“. თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას იმ პროგრამის შესაბამისად, რომელიც საკდესმა გამოაცხადა 1962 წლის 16 მარტს.

თანამგზავრი გაყვანილია ორბიტაზე. რომლის პარამეტრებია: მიმოქცევის საწყისი პერიოდი — 89,5 წუთი; მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (აპოგეა) — 320 კილომეტრი; მინიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (პერიგეა) — 202 კილომეტრი; ორბიტის დახრილობა — 65.7 გრადუსი.

თანამგზავრზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას.

მეგობრული შეხვედრები გრძელდება

მოსკოვი, 9 ივნისი. (საქდესის სპეც. კორ.). მეოთხე დღეა მოსკოვი და მოსკოველები გულთბილად მასპინძლობენ მოძმე საქართველოს წარმომადგენლებს — მოსკოვში საქართველოს სსრ კულტურისა და ხელოვნების დღეების მონაწილეებს.

9 ივნისს საქართველოს სსრ დელეგაცია იყო თვალწარმტაც საბჭოთა მეურნეობაში — მოსკოვის ოლქის ოდინცოვოს რაიონის სოფელ უსპენსკოეს ცხენსაშენში.

— ჩვენი ცხენსაშენი, — უთხრა ქართველ სტუმრებს საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ბ. ზასველბელსკიმ, — შერჩეული და გაუმჯობესებული ჯიშის ჩორთმავლებს უგზავნის ჩვენი ქვეყნის ყველა ცხენსაშენს და საზღვარგარეთის ოცდაათი ქვეყნის ცხენსაშენებს. საბჭოთა მეურნეობას ცხენების გარდა ჰყავს აკლიმატიზაციისა და ადგილობრივ ჯიშებთან შეჯვარების გზით გაუმჯობესებული იორქშირის ჯიშის უნიკალური ფუროვანი. ამ ფუროვანის საერთო წვლილობა ყოველწლიურად საბჭოთა მეურნეობას აძლევს 7 ათას ლიტრ რძეს.

საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი დიდ სასელექციო მუშაობას ეწევა გაუმჯობესებული ჯიშის ჩორთმავლების გამოსაყვანად. ძირითადი სახეობა, რომლის გაუმჯობესებაზეც ამჟამად მუშაობს საბჭოთა მეურნეობა, ეს არის ორლოვის ჯიშის ჩორთმავლები. უკანასკნელი 20 წლის მანძილზე ამ ჯიშის ცხენები სისტემატურად იღებენ საერთაშორისო პრიზებსა და მედლებს, მსოფლიოს ბევრი ქვეყანა ყიდულობს მათ ადგილობრივი ჩორთმავლების ჯიშის გაუმჯობესებისათვის.

საბჭოთა მეურნეობის დათვალიერების შემდეგ სტუმრებმა და მასპინძლებმა ისაუბრეს. სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ პ. მოროზოვმა, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს პარტკომის მდივანმა ბ. ულანოვმა, მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ბ. ფიოლიძემ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ვ. სირაძემ ილაპარაკეს იმაზე, რომ ასეთი შეხვედრები ტრადიციული უნდა გახდეს. ასეთი შეხვედრები ახალი გამოცდილებით ამდიდრებენ სხვადასხვა ხალხის წარმომადგენლებს, მკაფიოდ გამოხატავენ პარტიის ბრძნულ ლენინურ ეროვნულ პოლიტიკას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა დ. სტშრუპმ საქართველოს სსრ დელეგაციის სახელით მადლობა გადაუხადა საბჭოთა მეურნეობის მუშაკებს გულითადი მასპინძლობისათვის.

ნაშუადღევს საქართველოს სსრ დელეგაცია ეწვია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენას, სადაც ამ დღეს საუკეთესო დარბაზები და სცენები დაეთმო საქართველოს ხელოვნების შოღვაწეებს. გამოფენის კულტურის სასახლეში გაიმართა ხელოვნების ოსტატთა სადღესასწაულო კონცერტი, რომელსაც გადასცემენ ტელევიზიით. ქართული სცენის ოსტატთა გამოსვლები „ინტერვიზიით“ ნახა ევროპის ბევრმა ქვეყანამ.

გამოფენის კონფერენც-დარბაზში მრავალრიცხოვანი აუდიტორიის წინაშე გამოვიდა საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი ო. თაქთაქიშვილი. შემდეგ გაიმართა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს კამერული ორკესტრი, სახელმწიფო კვარტეტი და მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივები.

ქართველი კომპოზიტორები გამოვიდნენ მსმენელთა დიდი აუდიტორიის წინაშე „საბჭოთა კულტურის“ პავილიონში. კრემლის თეატრში გაიმართა საქართველოს სსრ ხელოვნების ოსტატთა დიდი კონცერტი.

ლ. გაგუა,
ზ. ლომიძე.

თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანას დღეს არსებობის 25 წლისთავი შეუსრულდა. საწარმოს კოლექტივში მრავალი მოწინავე ადამიანია. სურათზეა მოწინავეთა ერთ-ერთი ჯგუფი (მარცხნიდან): მეექვსე ბ. ტაბუნაძე, საინსტრუმენტო საამქროს უფროსი ვ. მარგანი, ხარატი მ. ოვსეპიანი, მეორე პ. ყორშია, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ზეინკალი ნ. კოსტენკო, ინჟინერი ი. თოთიბაძე, ხარატი ნ. როვენკოვი, საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ზეინკალი ვ. ასათიანი და ინჟინერი დ. მალავრიანი.

ფოტო ვ. ჩერკასოვისა.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ბ. ქოფენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაპაძე

თბილისი,
1967 წლის 9 ივნისი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის ინჟინერებისათვის საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის დაარსების ოცდახუთი წლისთავთან დაკავშირებით, ხანგრძლივი და ნაყოფიერი საინჟინრო მოღვაწეობისათვის მიენიჭოთ საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდება:

1. **ასატუროვს** სარქის ნიკოლოზის-ძეს — უბნის უფროსს.
2. **ბაღდასარიანს** ეღიშ კარაპეტის-ძეს — განყოფილების ინჟინერს.
3. **ბობოხიძეს** გრიგოლ გიორგის-ძეს — საამქროს უფროსის მოადგილეს.
4. **კოდალს** ივანე იოსების-ძეს — ინჟინერ-კონსტრუქტორს.
5. **ლიანოზოვას** მარგალიტა აბგარის ასულს — ინჟინერ-კონსტრუქტორს.
6. **ნესტიურინს** გიორგი ივანეს-ძეს — განყოფილების უფროსს.
7. **ჩხეიძეს** ლევან ვლადიმერის-ძეს — გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის ბიუროს უფროსს.
8. **ჯაშს** გრიგოლ კონსტანტინეს-ძეს — საამქროს უფროსის მოადგილეს.
9. **ჯაფარიძეს** სიმონ ივანეს-ძეს — საამქროს უფროსის მოადგილეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ქოფენიძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაპაძე
თბილისი, 1967 წლის 9 ივნისი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის დაარსების ოცდახუთი წლისთავთან დაკავშირებით და ამ ქარხანაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

1. **ბაბუნაშვილი** დავით ალექსის-ძე — ზეინკალი.
2. **ბეჟანოვა** ანეტა არშაკის ასული — მღებავი.
3. **ბერიანიძე** მიხეილ ალექსის-ძე — ზეინკალი.
4. **ბორტნი** ბორის ილიას-ძე — ზეინკალი.
5. **გაბუნია** ფოკა მელიტონის-ძე — განყოფილების უფროსი.
6. **გიგილაშვილი** ვახტანგ გიორგის-ძე — საამქროს უფროსი.
7. **გოგიჩაშვილი** ვახტანგ გიორგის-ძე — პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.
8. **გოლობოროდკო** ნიკოლოზ ათანასეს-ძე — საამქროს უფროსი.
9. **გრეზოვი** სიმონ არკადის-ძე — ტექბიუროს უფროსი.

(დასასრული მე-3 გვერდზე)

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარებაში დამსახურებისათვის, დაარსების ოცდახუთი წლისთავთან დაკავშირებით **თბილისის** დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანა დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ბ. ქოფენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაპაძე

თბილისი,
1967 წლის 9 ივნისი.

გეოლოგიის მეცნიერებათა ისტორიის საერთაშორისო კომიტეტი

მეცნიერთა საერთაშორისო შეხვედრაზე, რომელიც ერევანში მიმდინარეობს, შეიქმნა გეოლოგიის მეცნიერებათა ისტორიის საერთაშორისო კომიტეტი. მეცნიერები იხილავენ გეოლოგიის მეცნიერებათა ისტორიის პრობლემებს, იუწყება საკდესის კორესპონდენტი. ახალი საერთაშორისო ორგანიზაციის პრეზიდენტად არჩეულია გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი ვ. ვ. ტიხომიროვი, ხოლო კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტებად — რ. ჰოიკესი (ნიდერლანდი), ჯ. ვ. უაიტი (ამერიკის შეერთებული შტატები), ბ. ს. როი (ინდოეთი).

საერთაშორისო კომიტეტის შექმნა, უთხრა ვ. ვ. ტიხომიროვმა საკდესის კორესპონდენტს, ხელს შეუწყობს გეოლოგიის ისტორიის დარგში მუშაობის, სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერთა კვლევის კოორდინაციის გაფართოებასა და გაღრმავებას.

საიუბილეო ვახტზე

მარგანეცი — სამშობლოს

ჭიათურა, (საკ. კორ.). საიუბილეო სოციალისტური შეჯიბრების თაოსნებმა — ჭიათურელმა მაღაროელებმა, რომლებიც მოძმე უკრაინელ თანამოსაქმეებს ეჯიბრებიან, ახალი წარმატება მოიპოვეს. ვალდებულებით ჭიათურელებმა საიუბილეო წელს სამშობლოს გეგმის გადამეტებით უნდა მისცენ 100.000 ტონა მარგანეცი. მაღაროელები სიტყვას არ ტეხენ. 21 მაისისათვის მეტალურგიულ ქარხნებს უკვე გაუგზავნეს 81.265 ტონა ზეგეგმითი მარგანეცი და წარმატებით შეასრულეს ხუთი თვის დავალება.

თავდადებულად მუშაობენ ორჯონიკიძის, კალინინის, დიმიტროვის სახელობის, პერევისის მაღაროთა კოლექტივები ივნისშიც.

დრის მუღლბელთა წარმატება

ხაშური რაიონის მეცხოველეებმა, რომლებმაც მეცხოველეობაში პირველ კვარტალში მოპოვებული წარმატებებისათვის ამას წინათ **საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და რესპუბლიკის პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა** მიიღეს, კვლავ ისახელეს თავი და სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის **ნახევარი წლის გეგმები 5 ივნისისათვის გადაჭარბებით გაანდეს.** სახელმწიფოს მიეყიდა 2.511 ცენტნერი ხორცი ნაცვლად 1.930 ცენტნერისა, ანუ გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 476 ცენტნერით მეტი. სახელმწიფოსათვის მიყიდულია 9.982 ცენტნერი რძე ნაცვლად 9.800 ცენტნერისა. ეს გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 1.362 ცენტნერით მეტია. კვერცხის მიყიდვის დავალება შესრულებულია 104 პროცენტით. შარშანდელთან შედარებით სახელმწიფოს მიეყიდა 82.000 ცალით მეტი კვერცხი. მატყლის მიყიდვის გეგმა შესრულებულია 115 პროცენტით.

გეგმის გადამეტებით სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვა გრძელდება. ეს აცნობეს „კომუნისტის“ რედაქციას პარტიის ხაშურის რაიკომის პირველმა მდივანმა **დ. მალალაშვილმა,** რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **გ. კორკოტაძემ,** სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა **ბ. მაისაშვილმა.**

ივლისის ანგარიშში

ბალი. (ტელეფონით „კომუნისტის“ კორ.). ბალელმა მეჩაიეებმა ფოთლის კრეფის სეზონის დაწყებიდან კარგი ტემპი აიღეს. 8 ივნისისათვის უკვე მოკრეფილია 7.250 ტონა ფოთოლი, რაც მაის-ივნისის გეგმის 81 პროცენტს შეადგენს.

დაწინაურდა ბალის ჩაის საბჭოთა მეურნეობა (დირექტორი მ. გეგეშიძე, პარტორგანიზაციის მდივანი ა. ბაბისონია), აქ ვალდებულებით მაის-ივნისში 232 ტონა ფოთოლი უნდა მოკრიფონ. 8 ივნისისათვის უკვე მოკრიფეს და ფაბრიკას გადასამუშავებლად ჩააბარეს 245 ტონა ჩაის ნედლეული. მზიურის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ (დირექტორი ალ. აბლოთია, პარტორგანიზაციის მდივანი ვ. შარია) მაის-ივნისის გეგმა ვადაზე 22 დღით ადრე გაანაღდა. მოკრიფა 231 ტონა ფოთოლი ნაცვლად 228 ტონისა. ფოთლის კრეფის მაის-ივნისის გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს აგრეთვე მზიურის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობამ (დირექტორი მ. ალავიძე, პარტორგანიზაციის მდივანი ლ. ფრუშიძე), ხუმუშქურის საბჭოთა მეურნეობამ (დირექტორი ე. ზუბბაია, პარტორგანიზაციის მდივანი მ. ჯაბაია), სოფელ წართის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ბ. ბასარია, პარტორგანიზაციის მდივანი ა. გერძბავა).



საქართველოს კოოპერატორთა გამარჯვება

რესპუბლიკის სოფლის მშრომელთა სავაჭრო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესებისა და ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის აღსანიშნავად საქართველოს კოოპერატორებმა ჯერ კიდევ შარშან ფართოდ გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება და მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს. მეოთხე კვარტალის მუშაობის შედეგების მიხედვით გაიმარჯვეს საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში.

საიუბილეო წელს კოოპერატორებმა კიდევ უფრო გააცხოველეს მუშაობა. მიმდინარე წლის პირველი კვარტალის საქონელბრუნვის გეგმა შესრულებულია 101,4 პროცენტით, დამზადების ბრუნვისა — 138,7 პროცენტით, მრეწველობის პროდუქციის გამოშვებისა — 112,2 პროცენტით, ზეგეგმითმა მოგებამ შეადგინა 1,1 მილიონი მანეთი. გეგმის გადამეტებით სოფლის მოსახლეობას მიეყიდა 1.600 ათასი მანეთის საქონელი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით საქონელბრუნვა გაიზარდა 12,4 პროცენტით.

პირველი კვარტალის აღნიშნული მაჩვენებლებით **საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკებმა კვლავ გამიმარჯვეს საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და ცენტროსოიუზის და სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით მათ მიენიჭათ გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია.**

მიმდინარე წლის პირველ კვარტალში თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია საქკოოპშენის კოლექტივმა. აქ პირველი კვარტალის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმა შეასრულეს 113,6 პროცენტით, ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემისა — 118,8 პროცენტით. შრომის ნაყოფიერება გაზარდეს 4 პროცენტით, ხოლო დაგროვების გეგმა 199 პროცენტით შეასრულეს. მარტო პირველ კვარტალში საექსპლოატაციოდ გადაეცა 40-ზე მეტი ობიექტი. საქკოოპშენმა ამ წარმატებებით გაიმარჯვა სოციალისტურ შეჯიბრებაში და დამსახურებულად მოიპოვა ცენტროსოიუზის და სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის სპეციალური სიგელი.

გუშინ თბილისში გაიმართა საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა აქტივის კრება, რომელიც გარდამავალი წითელი დროშისა და საპატიო სიგელის გადაცემას მიეძღვნა.

კრება გახსნა სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ **შ. ტიტვინიძემ.**

ეცკავშირის კოლექტივს სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვება მიეულოცა და ეცკავშირის გამგეობის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს **ვ. ყურაშვილს** ცენტროსოიუზის, სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა გადასცა ცენტროსოიუზის მთავარი სამმართველოს უფროსმა **ს. კუმუკოვმა.** მანვე სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვება მიეულოცა ტრესტ საქკოოპშენის კოლექტივს და ტრესტის მმართველს **ს. ხარატიშვილს და გადასცა ცენტროსოიუზისა და სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის სპეციალური სიგელი.**

ვ. ყურაშვილმა და ს. ხარატიშვილმა მადლობა გადაუხადეს ცენტროსოიუზსა და პროფკავშირების ცენტრალურ კომიტეტს მათი შრომის მაღალი შეფასებისათვის და აღუთქვეს, რომ კვლავაც შეუნელებლად იშრომებენ, რათა განამტკიცონ მოპოვებული წარმატებანი, შეინარჩუნონ მიღებული ჯილდოები.

მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ მარნეულის, სამტრედიის, ასპინძის, წალენჯიხის რაიკოოპკავშირების გამგეობების თავმჯდომარეები **გ. ვალიევი, ბ. სტურუა, შ. ალელიშვილი, დ. გერსამია** და სიღნაღის რაიკოოპკავშირის დამზადების კანტორის დირექტორი **ი. ძანაშვილი.** მათ თავიანთი კოლექტივების სახელით აღუთქვეს აქტივის კრებას, რომ ჯილდოს საპასუხოდ კიდევ უფრო გააუმჯობესებენ მუშაობას და დიდი ოქტომბრის დღესასწაულს ახალი შრომითი მაჩვენებლებით შეხვდებიან.

კრების მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ვაჭრობისა და საგეგმო-საფინანსო ორგანოების განყოფილების გამგე **დ. მამულაძე.**

დროშა და პრემია მოიპოვეს

კვების მრეწველობის მუშაკები — საკავშირო და რესპუბლიკური შეჯიბრების გამარჯვებულნი

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის.

1967 წლის პირველი კვარტალის მუშაობის შედეგებმა მთელი რიგი საწარმოების კოლექტივებმა გაიმარჯვეს სრულიად საკავშირო და რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროსა და კვების მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემიები დაიმსახურეს თბილისის საკონდიტრო კომბინატის, კასპის ხილეენკროვანთა წვენების ქარხნისა და თბილისის ცხიმკომბინატის კოლექტივებმა.

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროსა და საქართველოს კვების მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშებითა და პირველი ფულადი პრემიებით დაჯილდოვდნენ თბილისის მარმელადის ფაბრიკის, № 2 თამბაქოს ფაბრიკის, № 3 ღვინის ქარხნის, ქუთაისის პურის კომბინატის, ბორჯომის შუშისა და ჩამოსასხმელი ქარხნების კოლექტივები.

მეორე ფულადი პრემიები მიიღეს თბილისის ლიქიორის ქარხნის, უალ-კოპოლო სასმელების ქარხნის, № 5 პურის ქარხნის, № 1 თამბაქოს ფაბრიკის, რუსთავის ხილის წყლებისა და საცობების კომბინატის, ლაგოდეხის თამბაქოს საფერმენტაციო ქარხნის კოლექტივებმა.

მესამე ფულადი პრემიები დაიმსახურეს თბილისის მაკარონის ფაბრიკისა და აბაშის ეთეროვანი ზეთების ქარხნის კოლექტივებმა. (საქდესი).

ᲙᲐᲠᲩᲘᲣᲚᲘ ᲨᲔᲠᲬᲧᲚᲔᲑᲐ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ ᲡᲙᲐᲜ ᲠᲘᲒᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲣᲠᲔᲑᲘᲡᲐᲡ ᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ XXIII ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲘᲗ ᲘᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ, ᲠᲝᲛ „ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲠᲘᲒᲔᲑᲘᲡ ᲖᲣᲡᲢᲐᲓ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲠᲘᲒᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲕᲘᲦᲝᲗ ᲛᲝᲬᲕᲘᲜᲐᲕᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲒᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲣᲨᲘᲑᲘ, ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲙᲝᲛᲔᲠᲪᲘᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲐᲥᲕᲗ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲡ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ. ᲐᲛ ᲠᲘᲠᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲠᲘᲒᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ. ᲛᲜᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ ᲔᲥᲪᲘᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲠᲘᲒᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲨᲠᲝᲛᲐᲨᲘ. ᲔᲡ ᲛᲝᲛᲐᲒᲚᲘᲗᲔᲑᲘ ᲛᲘᲪᲔᲛᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲬᲘᲜᲐᲗ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲞᲣᲫᲕᲔᲚᲖᲔ ᲓᲐ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲡ ᲞᲐᲡᲞᲝᲠᲢᲘ. ᲘᲒᲘ ᲩᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ III ᲙᲣᲠᲡᲖᲔ, ᲐᲠᲘᲩᲔᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲡᲐᲯᲐᲚᲐᲥᲪᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲘᲡ.

ᲮᲝᲗᲘᲡ ᲗᲕᲔ ᲒᲐᲒᲘᲓᲐ ᲛᲐᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲠᲐᲪ ᲓᲐᲛᲑᲘᲗᲐᲠᲔᲑᲓᲐ ᲛᲐᲜᲐᲩᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲠᲐᲒᲜᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲑᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ Გ. ᲭᲘᲠᲣᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲓᲚᲔᲑᲘᲗ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ. ᲔᲡ ᲐᲛᲐᲓᲚᲔᲑᲘ ᲛᲐᲗ ᲐᲥᲢᲘᲕᲝᲑᲐᲨᲘᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲬᲘᲜᲐᲗᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲠᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲩᲕᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲛᲘᲩᲜᲔᲡ ᲨᲠᲝᲛᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲬᲘᲜᲐᲗᲐᲛᲝ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲩᲕᲘᲚᲔᲑᲐᲨᲘ. ᲐᲛᲐᲡ ᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲡ ᲘᲡ ᲤᲐᲥᲢᲘ, ᲠᲝᲛ ᲑᲝᲚᲝ ᲠᲘᲠᲘᲡ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲒᲚᲐᲕᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲡ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ. ᲐᲛ ᲠᲘᲠᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲞᲣᲫᲕᲔᲚᲖᲔ ᲘᲧᲝ ᲓᲘᲓᲘ ᲬᲔᲠᲘᲡᲘᲗᲘ ᲠᲝᲚᲘ ᲡᲐᲛᲨᲕᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲒᲚᲘᲗᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ. ᲐᲛ ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲓᲦᲔᲡ ᲛᲘᲡᲘ

საერთაშორისო ცხოვრება

კარგი პერსპექტივები

საბჭოთა კავშირ-რუმინეთის ეკონომიური თანამშრომლობის სამთავრობათშორისო კომისიის პირველი სხდომა

ბუქარესტი, 8 ივნისი. (საკდესი). 1967 წლის 3-დან 7 ივნისამდე ბუქარესტში მიმდინარეობდა საბჭოთა კავშირ-რუმინეთის ეკონომიური თანამშრომლობის სამთავრობათშორისო კომისიის პირველი სხდომა.

სსრ კავშირის დელეგაციას მეთაურობდა კომისიის საბჭოთა ნაწილის თავმჯდომარე, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე მ. ა. ლესეჩკო.

რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის დელეგაციას მეთაურობდა კომისიის რუმინული ნაწილის თავმჯდომარე, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე გ. რედულესკუ.

სამთავრობათშორისო კომისიის სხდომას თავმჯდომეობდა კომისიის რუმიული ნაწილის თავმჯდომარე რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე გ. რედულესკუ.

კომისიამ განიხილა მთელი რიგი საკითხები ორი ქვეყნის ეკონომიური და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის შემდგომი განვითარების შესახებ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში, აგრეთვე განიხილა საკითხი, თუ როგორ სრულდება ოქმები სსრ კავშირსა და რუმინეთის სოციალისტურ რესპუბლიკას შორის საქონელბრუნვის შესახებ.

საბჭოთა კავშირ-რუმინეთის ეკონომიური თანამშრომლობის სამთავრობათშორისო კომისიის მუშაობა მიმდინარეობდა სრული ურთიერთგაგების ატმოსფეროში, ხელი შეუწყო ორი ქვეყნის ნაყოფიერი თანამშრომლობის შემდგომ გაფართოებას.

წარმატება მექსიკაში

მექსიკო, (საკდესი). დიდი წარმატებით სარგებლობს საბჭოთა बालეტის ოსტატთა კონცერტები საერთაშორისო კულტურის ფესტივალზე, რომელიც მექსიკის ქალაქ პუებლაში მიმდინარეობს.

პრესა მაღალ შეფასებას აძლევს დიდი თეატრის მსახიობთა ოსტატობას, და განსაკუთრებით აქებს წამყვან बालერინას მაია პლისეცკაიას.

„სცენის საოცრებას“ უწოდებს პლისეცკაიას გაზეთი „ვოს დე პუებლა“ „შესანიშნავი პროგრამის უკანასკნელ ნომერში — წერს მეორე გაზეთი „სოლ დე პუებლა“, — საბჭოთა მსახიობმა სწორედ, რომ მოხიბლა მექსიკის საზოგადოება. აღტაცებული მაყურებლები დიდხანს არ უშვებდნენ სცენიდან შესანიშნავ बालერინას“.

შეთანხმებანი მოიწონეს

სანტიაგო, 9 ივნისი. (საკდესი). ჩილეს სენატმა ერთსულოვნად მოიწონა ზეთანხმებანი ჩილესა და სსრ კავშირის კაბრობისა და ეკონომიური თანამშრომლობის შესახებ, რომლებსაც ხელი მოაწერეს მოსკოვში ამა წლის იანვარში. მანამდე ეს შეთანხმებანი მოიწონა დეპუტატთა პალატამ. ამრიგად, ჩილეს ეროვნულმა კონგრესმა კანონის ძალა მიანიჭა ამ ორ ქვეყანას შორის ხელმოწერილ დოკუმენტებს.

ახლო აღმოსავლეთის ამბები

□ გაცხარებული ბრძოლები □ ბრძოლდება ისრაელის აგრესია

კაირო, 8 ივნისი. საკდესის კორესპონდენტი ა. კისლოვი იუწყება:

სინაში გაცხარებული ბრძოლებია. როგორც არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების სარდლობა იუწყება, ეგვიპტის შეიარაღებულმა ძალებმა შეძლეს შეეჩერებინათ ისრაელის ჯარის ნაწილების წინსვლა თავდაცვის მეორე ხაზზე, და მათი ცდები, გაერღვიათ ეს ხაზი, მარცხით დამთავრდა. ეგვიპტის ჯარები, რომლებიც ისრაელის აგრესიას იგერიებენ, ფრონტის ზოგიერთ უბანზე კონტრშეტევაზე გადავიდნენ.

ფრონტის ხაზზე გაფთრებული ბრძოლები წარმოებს ჰაერში ბატონობისათვის. დღეს კაიროში სამჯერ გამოცხადეს საჰაერო განგაში.

ბეირუთი, 9 ივნისი. (საკდესი). დღეს ისრაელის მხედრიონი განაგრძობდა საბრძოლო მოქმედებას სირიისა და ეგვიპტის ფრონტებზე. ამით მან უგულებელყო უშიშროების საბჭოს გადწყვეტილებანი ცეცხლის შეწყვეტის შესახებ და სამართლიანი მოთხოვნები საწყის პოზიციებზე ჯარების უკან დახევის შესახებ. ეს ახალი აგრესიული აქტები ისრაელმა განახორციელა მიუხედავად იმისა, რომ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის, სირიისა და იორდანიის მთავრობებმა უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილების პასუხად განაცხადეს, რომ თანახმანი არიან შეწყვიტონ საომარი მოქმედება, თუ ისრაელი თავის მხრივ შეწყვეტს ცეცხლს.

დღეს დილით დამასკოდან მიღებული ცნობებით, ხანმოკლე დაზავება უხეშად დაარღვია ისრაელის მხარემ. 9 საათსა და 15 წუთზე ადგილობრივი დროით ისრაელის არტილერიამ ცეცხლი დაუშინა სირიის ჯარებს, ხოლო ისრაელის ავიაციამ კვლავ დაბომბა სირიის შეიარაღებული ძალების მოწინავე ბანაკები და აერთდრომები. 12 საათსა და 50 წუთზე დამასკოს რადიო იუწყებოდა, რომ ისრაელის ჯარებმა დაიწყეს შეტევა ტანკებისა და არტილერიის მონაწილეობის დასახლებული პუნქტების ბუჰეირატისა და ნახარიის მიმართულებით.

ამ პროვოკაციული მოქმედების პასუხად სირიის არტილერია აფულებული იყო საპასუხო ცეცხლი დაეშინა მტრის ჯარებისათვის. დაახლოებით 13 საათზე დამასკოში გამოჩნდნენ ისრაელის თვითმფრინავები, რომლებიც განდევნეს საზენიტო არტილერიის ცეცხლით.

კაიროდან მიღებული ცნობების თანახმად, ისრაელის მხედრიონი ამავე დროს განაგრძობდა აგრესიას ეგვიპტის მიმართ. არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის სამხედრო სარდლობის კომუნიკეში, რომელიც მენის სააგენტომ შუადღისას გადასცა, აღნიშნული იყო, რომ ისრაელის ჯარები განაგრძობენ იერიშებს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ, აგრეთვე საჰაერო თავდასხმებს სუეცის არხის ზონაზე, მიუხედავად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციისა ცეცხლის დაუყოვნებლივ შეწყვეტის შესახებ.

როგორც ისრაელის რადიოს აქ მიღებული ცნობებიდან ჩანს, ტელ-ავივში გამოაცხადეს, რომ დღეს ისრაელის ჯარები შეიჭრნენ სირიის საზღვრებში.

ისრაელის სარდლობამ განაცხადა, რომ ისრაელის ჯარებმა მიაღწიეს ტიბერიის ტბისაკენ მიმავალ პლატოს, რათა იერიში მიიტანონ იქ მყოფ სირიის ნაწილებზე.

ნიუ-იორკი, 9 ივნისი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში სირიის დელეგაციის წარმომადგენელმა დღეს საკდესის კორესპონდენტს განუცხადა, რომ ცეცხლის ხანმოკლე შეწყვეტა კვლავ უხეშად დაარღვია ისრაელმა. „ახეთი მოქმედება, — ხაზი გაუსვა მან, — შეესაბამება ისრაელის ტაქტიკას — არაბთა სახელმწიფოებზე რიგრიგობით თავდასხმის ტაქტიკას. ისრაელმა აგრესორებმა გაათავისუფლეს თავიანთი ძალები იორდანიის ფრონტზე და ჯარების ნაწილი, რომლებიც სინას ნახევარკუნძულზე მოქმედებდნენ და ცდილობენ ახლა იერიში მიიტანონ სირიის არმიაზე“.

როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წრეებში აღნიშნავენ, ისრაელის მხედრიონის მოქმედება მოწმობს, რომ ისრაელი ცდილობს თავის კონტროლს დაუქვემდებაროს ტიბერიის ტბისა და ჰულის ტბის მოსაზღვრე რაიონები, რომლებიც სირიის ტერიტორიაზე მდებარეობენ.

ნიუ-იორკი, 9 ივნისი. (საკდესი). სირიამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს უ ტანს სთხოვა დაუყოვნებლივ მოიწვიოს უშიშროების საბჭოს სხდომა სირიის წინააღმდეგ ისრაელის ახალი იერიშების გამო. სხდომა გაიმართება დილის 10 საათზე (17 საათზე მოსკოვის დროით).

დამასკო, 9 ივნისი. (საკდესი). საკდესის კორესპონდენტი ლ. მედვედკო გვატყობინებს: 17 საათზე ქალაქ დამასკოს თავს დაესხა ისრაელის ავიაცია. ქალაქში გამოცხადებულია საჰაერო განგაში. საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოაგდეს ისრაელის ერთი თვითმფრინავი. სირიის არმიის სარდლობის ცნობაში, რომელიც გადაიცა დამასკოს რადიოთი, ნათქვამია, რომ სირია-ისრაელის ფრონტზე შეუთავარი ბრძოლებია. სირიის ჯარები იგერიებენ მოწინააღმდეგის სატანკო და ქვეითი ქვეგანაყოფების იერიშებს.

ვის უმიზნებდა ისრაელი?

ვაშინგტონი, 9 ივნისი. საკდესის კორესპონდენტი ვაშედჩენკო იუწყება: ისრაელის სატორპედო კატარღებმა და თვითმფრინავებმა 8 ივნისს ხმელთაშუა ზღვაში იერიში მიიტანეს ამერიკის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ხომალდ „ლიბერტიზე“.

ინციდენტი მოხდა ღია ზღვაში, 15 მილზე სინას ნახევარკუნძულის ჩრდილოეთით. ამერიკის ხომალდის ეკიპაჟის 10 წევრი დაზოცილია. 100 დაჭრილია.

სასწრაფო დეპეშები თავდასხმის შესახებ დაუყოვნებლივ აღმოჩნდა პრეზიდენტ ჯონსონის მაგიდაზე. გაიმართა რამდენიმე თათბირი სახელმწიფო მდივან რასკთან და ამერიკის შეერთებული შტატების სხვა მაღალი თანამდებობის სამხედრო და პოლიტიკურ ხელმძღვანელებთან. რასკმა ინციდენტის ამბავი აცნობა კონგრესის ხელმძღვანელებს. თავდასხმის რაიონში სასწრაფოდ გაიგზავნა ამერიკის ორი საესკადრო. ნაღმსანი და სამხედრო თვითმფრინავები.

ისრაელის სატორპედო კატარღები და თვითმფრინავები, რომ თავს დაესხნენ ამერიკის ხომალდს, ეს გამოირკვა მოგვიანებით და ამან ფრიად დაძაბული ვითარება შექმნა ვაშინგტონში.

შემდეგ ისრაელის მთავრობამ შეეროებულ შტატებს აცნობა, რომ ისრაელის სატორპედო კატარღები და თვითმფრინავები „შეცდომით“ დაესხნენ თავს ამერიკის ხომალდს.

უშიშროების საბჭოს საგანგებო სხდომა

ნიუ-იორკი, 9 ივნისი. საკდესის კორესპონდენტები ლ. ველიჩანსკი და ს. ლოსევი გვატყობინებენ: საბჭოთა კავშირმა მოითხოვა, რომ უშიშროების საბჭომ გადაჭრით დაგმოს ისრაელის აგრესიული მოქმედება და ის, რომ ისრაელი აორვევს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებს საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ. საბჭოთა დელეგაციამ რეზოლუციის პროექტში, რომელიც 8 ივნისს შეიტანა უშიშროების საბჭოს საგანგებო სხდომაზე, განაცხადა, რომ ისრაელმა დაუყოვნებლივ უნდა შეწყვიტოს საომარი მოქმედება მეზობელი არაბული სახელმწიფოების წინააღმდეგ და უკან დასწიონ მთელი თავისი ჯარები მათი ტერიტორიიდან დაზავების ხაზს იქით.

უშიშროების საბჭო საგანგებო სხდომაზე შეიკრიბა სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების თხოვნით.

საბჭოთა კავშირის რეზოლუციის პროექტში ნათქვამია: „უშიშროების საბჭო

აღნიშნავს, რომ სსრ ისრაელმა არაფრად ჩაგდო უშიშროების საბჭოს 1967 წლის 6 ივნისისა და 1967 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილებანი საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ,

ითვალისწინებს, რომ ისრაელმა არათუ არ შეწყვიტა საომარი მოქმედება, არამედ აღნიშნულ რეზოლუციათა მიღების შემდეგ განვლილი დრო იმისათვის გამოიყენა, რომ ხელთ იგდო არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისა და იორდანიის ახალი ტერიტორიები,

აღნიშნავს, რომ ამჟამადაც ისრაელი განაგრძობს საომარ მოქმედებას, არ წყვეტს აგრესიას და ამით აბუჩად იგდებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, ყველა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოს, და

1. გადაჭრით გმობს ისრაელის აგრესიულ მოქმედებას და იმას, რომ იგი არღვევს უშიშროების საბჭოს აღნიშნულ რეზოლუციებს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრინციპებს;

2. მოითხოვს, რომ ისრაელმა დაუყოვნებლივ შეწყვიტოს საომარი მოქმედება მეზობელი არაბული სახელმწიფოების წინააღმდეგ, უკან დასწიოს მთელი თავისი ჯარები მათი ტერიტორიიდან დაზავების ხაზს იქით და პატივი სცეს დემილიტარიზებული ზონების სტატუსს, როგორც ეს აღნიშნულია, საერთო შეთანხმებებში დაზავების შესახებ“.

ამერიკის რეზოლუციის პროექტი, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა გოლდბერგმა შეიტანა, ფაქტიურად არაბულ ქვეყნებს აბრალებს, რომ ცეცხლი არ შეწყვეტილა. ამ პროექტში არც ერთი სიტყვა არ არის ნათქვამი, რომ საჭიროა მხარეთა ჯარების დაბრუნება იმ პოზიციებზე, რომლებიც ეკავათ 4 ივნისამდე — ისრაელის აგრესიის დაწყებამდე. ამერიკის პროექტში ცეცხლის შეწყვეტისათვის მოწოდებას თან ახლავს წინადადება, რომ მოწინააღმდეგე მხარეებმა დაიხმარონ მესამე მხარე და სასწრაფოდ დაიწყონ ერთმანეთთან მოლაპარაკება. თუ ასეთი მოლაპარაკება გაიმართა ისე, რომ არ გაიყვანეს ისრაელის ჯარები, რომლებმაც ისარგებლეს მოულოდნელი თავდასხმითა და ხელთ იგდეს არაბული ტერიტორიები იორდანიაში და სინას ნახევარკუნძულზე. იგი მხოლოდ აგრესორისათვის იქნება ხელსაყრელი.

სხდომის დასაწყისში გენერალურმა მდივანმა უ ტანმა წაიკითხა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეთა ცნობები, რომ საომარი მოქმედება გრძელდება. კერძოდ, ამ ცნობებით, ისრაელის ავიაცია კვლავ ბომბავდა ობიექტებს იორდანიის ტერიტორიაზე და ისრაელის ჯარები წინ აწევდნენ იორდანიის სიღრმეში, მუუხედავად იმისა, რომ იორდანიის მთავრობამ გასცა ბრძანება შეეწყვიტათ ცეცხლი.

გენერალურმა მდივანმა წაიკითხა აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მუდმივი წარმომადგენლის წერილი, რომელშიც ნათქვამია, რომ მისი მთავრობა თანახმაა შეწყვიტოს ცეცხლი. თუ მოწინააღმდეგე მხარეც შეასრულებს მოთხოვნას საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

სსრ კავშირის წარმომადგენელმა ნ. ტ. ფედორენკომ მოუწოდა უშიშროების საბჭოს გაუქმიანურებლად მიიღოს საბჭოთა რეზოლუციის პროექტი და აღნიშნა, რომ ისრაელმა არ შეასრულა უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილება შეეწყვიტა ცეცხლი და არათუ არ შეეწყვიტა აგრესიული მოქმედება, არამედ აგრეთვე გამოიყენა საბჭოს მიერ გადაწყვეტილებათა მიღების შემდეგ განვლილი დრო, რათა ძალით დაეკავებინა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისა და იორდანიის ახალი ტერიტორიები. ამჟამად, როცა საბჭოს აქვს სასწრაფო სხდომა, ისრაელი განაგრძობს ინტენსიურ საომარ მოქმედებას.

არაბულ ქვეყნებს შეუქმნეს ისეთი მდგომარეობა, როცა იძულებული არიან განასორციელონ თავდაცვითი ღონისძიებანი, სანამ ისრაელი არ შეწყვეტს საომარ მოქმედებას და არ გაიყვანს თავის ჯარებს არაბული ქვეყნების ტერიტორიებიდან.

არსებითად, აღნიშნა ნ. ტ. ფედორენკომ, ამერიკის შეერთებული შტატები კვლავ ცდილობენ თავიანთი მოკავშირის—ისრაელის გამარჯვებას. ამიტომ იყო, რომ გოლდბერგს არაფერი არ უთქვამს აგრესორის პასუხისმგებლობის შესახებ, ხოლო ვაშინგტონში მაღალი თანამდებობის პირნი ამბობენ, ისრაელის აგრესია „დასავლეთის გამარჯვებაა“.

ახლა მთავარი ის არის, რომ მოვთხოვოთ ისრაელს დაუყოვნებლივ გაიყვანოს ჯარები დაპყრობილ ტერიტორიებიდან. საბჭომ უნდა მიიღოს ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც საშუალებას არ მისცემს ისრაელს ისარგებლოს აგრესიის ნაყოფით, რაზეც უკვე ოცნებობენ ტელ-ავივში.

საბჭოთა დელეგაცია მოითხოვს არა მარტო აგრესორის ჯარების დაუყვანას დაზავების ხაზს იქით, არამედ აგრეთვე დემილიტარიზებული ზონების სტატუტის პატივისცემას, როგორც ეს გათვალისწინებულია დაზავების შეთანხმებებით, და თვის მოსაზრებას დემილიტარიზებული ზონების შესახებ მოგვიანებით წარმოადგენს.

ინგლისის დელეგატმა კარადონმა მხარი დაუჭირა კანადის რეზოლუციის პროექტს, რომელიც უშიშროების საბჭოს თავმჯდომარეს უფლებამოსილებას აძლევს მიიღოს ღონისძიებანი ცეცხლის შეწყვეტის შესახებ უშიშროების საბჭოს რეზოლუციის განსახორციელებლად. ინგლისის დელეგატის გამოსვლა მოწმობს, რომ კანადის რეზოლუციის მიზანია აღადგინოს რაიმე ფორმით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საგანგებო ძალები ამ რაიონში.

შემდეგ პირფერული განცხადება გააკეთა ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრმა ებანმა, რომელიც კვლავ შეეცადა მთელი ბრალი ისრაელის აგრესიისათვის დაეკისრებინა არაბული ქვეყნებისათვის. იგი, რა თქმა უნდა, კატეგორიულად წინ აღუდგა საბჭოთა კავშირის რეზოლუციის პროექტს, რომელიც გმობს აგრესიას და მოითხოვს ჯარების გაყვანას დაზავების ხაზს იქით. სამაგიეროდ ისრაელის ელჩმა განაცხადა, რომ ყურადღებით შეისწავლის ამერიკის რეზოლუციის პროექტს, რომელიც ისრაელს ხელსაყრელ მდგომარეობას უქმნის.

ბულგარეთის დელეგატმა მილკო ტარაბანოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ისრაელის მთავრობას სთხოვენ არა ლიტონ განცხადებებს, რომ „ზხად არის შეწყვიტოს ცეცხლი“, რომელთა ნიღბით განაგრძობს აგრესიას, არამედ აგრესიის დაუყოვნებელივ შეწყვეტას. მან გააანალიზა ამერიკის რეზოლუციის პროექტი, ცხადყო, რომ არსებითად ეს პროექტი იცავს აგრესორს.

იორდანის წარმომადგენელმა ელ-ფარამ უშიშროების საბჭოს აცნობა, რომ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ საბჭოს მოწოდების მიუხედავად, ისრაელის შეიარაღებული ძალები კვლავ უტევენ იორდანიას ხმელეთზე და ჰაერიდან და ბომბავენ მშვიდობიან დასახლებულ პუნქტებს. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ისრაელის მთავრობამ ისარგებლა იორდანის მთავრობის ბრძანებით ეცცლის შეწყვეტის შესახებ და გააძლიერა შეტევითი ოპერაციები. როგორც იორდანის, ისე არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისა და სირიის წინააღმდეგ.

ისრაელის აგრესორთა ქომაგნი და მფარველები, თქვა იორდანის დელეგატმა, დიდად სცდებიან, თუ იმედოვნებენ, რომ ქვეყნების მუქარით გვიკარნახებენ თავიანთ პირობებს.

ახლო აღმოსავლეთში შექმნილი მდგომარეობის განხილვას საბჭო განაგრძობს შემდეგ სხდომაზე. რომელიც დანიშნულია 9 ივნისს (15 საათზე ნიუ-იორკის დროით).

არაბთა გაერთიანებულმა რესპუბლიკამ, სირიამ და იორდანიამ განაცხადეს, რომ მზად არიან შეწყვიტონ ცეცხლი

ნიუ-იორკი, 9 ივნისი. (საკდესი). როგორც აქ ცნობილი გახდა, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გენერალურ მდივანს უ ტანს გაუგზავნა წერილი, რომელშიც ნათქვამია:

„ჩემი მთავრობის მითითებით, პატივი მაქვს გაცნობოთო, რომ მან გადაწყვიტა დაეთანხმოს მოწოდებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, როგორც ეს გათვალისწინებულია უშიშროების საბჭოს 1967 წლის 6 და 7 ივნისის რეზოლუციებით, იმ პირობით, რომ მოწინააღმდეგე მხარე შეწყვეტს ცეცხლს“.

დამასკო, 9 ივნისი. (საკდესი). დამასკოს რადიომ გამოაცხადა, რომ სირია დათანხმდა შეწყვეტოს ცეცხლი შუა აღმოსავლეთში, იმ პირობით, თუ ისრაელი შეწყვეტს სამხარ მოქმედებას. შესაბამისი ცნობა გაეგზავნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს უ ტანს.

ამანი, 9 ივნისი. (საკდესი). ამანის რადიომ გადასცა ოფიციალური განცხადება, რომ იორდანიამ გადწყვიტა შეასრულოს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია ცეცხლის შეწყვეტის შესახებ.

იტალია. ვიეტნამში ამერიკის ომის ესკალაციამ და საბერძნეთში მომხდარმა სამხედრო გადატრიალებამ გამოიწვია საპროტესტო დემონსტრაციების აზვირთება იტალიის ბევრ ქალაქში. სულ სხვადასხვა ასაკისა და პოლიტიკური რწმენის ადამიანები მოითხოვენ ბოლო მოეღოს დანაშაულებრივ ომს ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ და აღდგენილ იქნას დემოკრატია საბერძნეთში. **სურათზე:** დემონსტრანტები მიემართებიან საბერძნეთის საელჩოსაკენ რომში. პლაკატზე წარწერაა: „ვიეტნამი და საბერძნეთი ერთი დოლარის ორი მხარეა“. (საკდესის ფოტოქრონიკა).

ინგლისელი და დასავლეთი გერმანია

„ლოდის ეროდრომიდან ტელ-ავივში მიმავალ გზაზე ტენიან, ცხელ ჰაერში გაისმოდა გერმანული სიმღერები, რომლებსაც მთელი ხმით ღრიალებდნენ... სატვირთო ავტომანქანას გადაეყავდა პირდაპირ ფედერაციული რესპუბლიკიდან ჩამოსული თორმეტიოდე ახალგაზრდა. ისინი აქ მოხალისეებად ჩამოვიდნენ, რათა იბრძოლონ ისრაელის მხარეზე“.

ასე იწყებოდა რეპორტაჟი, რომელიც ამ დღეებში გამოქვეყნდა პარიზის გაზეთ „ორორში“.

ისრაელსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის დიდი ხანია დამყარდა მჭიდრო ურთიერთობა. დასავლეთი გერმანია ყოველნაირად უწყობს ხელს ისრაელს სამხედრო და ატომური პოტენციალის ზრდას. გასული წლის მაისში ამ ქვეყანაში ვიზიტით იყო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ყოფილი კანცლერი ადენაუერი. იქ იგი ეწეოდა საიდუმლო მოლაპარაკებას ისრაელისათვის ორი მილიარდი მარკა კრედიტების მიცემის შესახებ. ამ ფულს იყენებენ ნეგიუს უდაბნოში ატომური რეაქტორის მშენებლობისათვის, სამხედრო მიზნებით ურანის გამოსაყენებლად მუშაობის განგრძობისათვის და ა. შ. ხელშეკრულება უკვე ხორციელდება. ამას წინათ ისრაელმა ბონისაგან მიიღო 40 მილიონი დოლარი კრედიტი ფრიად ხელსაყრელ პირობებში (დაფარვა 20-25 წლის შემდეგ წლიური 3 პროცენტის ანგარიშით).

მაგრამ ორი ქვეყნის „თანამშრომლობა“ ამით როდი ამოწურება. ისრაელის არმიის ჯარისკაცთა და ოფიცერთა სულ ახალი ჯგუფები გადიან სტაჟირებას ბუნდესვერში. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში უკვე გაიარა მომზადება ისრაელის 5.500-მდე სამხედრო მოსამსახურემ. ამავე დროს დასავლეთ გერმანიის სპეციალისტები ისრაელში ეწევიან ადგილობრივი შეიარაღებული ძალების აღჭურვას. მუშაობენ ატომური, ქიმიური და ბაქტერიოლოგიური იარაღის შექმნასთან დაკავშირებულ კვლევაზე. (მარტო ვეიცმანის სამხედრო-საკვლევ ინსტიტუტში „თანამშრომლობს“ 450 „ექსპერტი“ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან). ამასთან დაკავშირებით გასაგები ხდება ბონის კანცლერ კიზინგერის სიტყვები. ტელ-ავივის გაზეთ „ედიოტ ახრონოტისათვის“ მიცემულ ინტერვიუში მან განაცხადა: „მე ყველაფერს გავაკეთებ ისრაელთან ურთიერთობის განვითარებისა და განმტკიცებისათვის“.

ბონის ოფიციალურ მოღვაწეებს არ შეუცვლიათ თავიანთი პოზიცია პალესტინელ ლტოლვილთა ბედის მტკივნეულ საკითხში. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა ერთ-ერთია იმ მცირეოდენი ქვეყნებიდან, რომლებიც მხარს უჭერენ დისკრიმინაციულ ღონისძიებებს, რასაც ისრაელის მმართველი წრეები ახორციელებენ არაბი მოსახლეობის მიმართ.

ტელ-ავივი დასავლეთგერმანელ დიპლომატიურ კომფოიოიაორებს არაბთა ქვეყნებში თავის აგენტებად იყენებს. მაგალითად, არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში მსჯავრი დადეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოქალაქეებს ი. ლოტცსა და მის ცოლს კ. ლოტცს იმისათვის, რომ ისინი ჯაშუშობას ეწეოდნენ ისრაელის სასარგებლოდ.

თავის დროზე სირიამ მოითხოვა დაეხურათ ყბადაღებული „გოეთეს ინსტიტუტის“ განყოფილება დამასკოში: გამოირკვა, რომ მისი თანამშრომლები ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწეოდნენ და ჯაშუშურ ცნობებს აწვდიდნენ ბონსა და ტელ-ავივს.

ახლა, როცა ისრაელმა არაბთა ქვეყნების წინააღმდეგ აგრესია ჩაიდინა, ბონი ყოველნაირად უჭერს მხარს ტელ-ავივს. გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ ეს არის მიაწოდა ისრაელს 20 ათასი აირწინადი.

კ. სალაძე.

ავსტრალიის კომუნისტთა ყრილობა

სიდნეი, 9 ივნისი. (საკდესი). სიდნეიში ავსტრალიური კომპარტიის ეროვნული კონფერენციის ... გვატყობინებენ:

დღეს, 8 ივნისს — ავსტრალიის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობა. 118 დელეგატი, აგრეთვე ავსტრალიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელი შემადგენლობის წევრები წარმოადგენენ ამ ქვეყნის ყველა შტატისა და ტერიტორიის კომუნისტებს. ყრილობას ესწრება ახალი ზელანდიის სოციალისტური ერთობის პარტიის დელეგაცია.

ყრილობა გახსნა ავსტრალიის მუშათა მოძრაობის ვეტერანმა, ავსტრალიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ რიჩარდ დიქსონმა. მან დელეგატებს აცნობა, რომ ავსტრალიის ხელისუფლებმა უარი თქვეს მიეცათ ვიზები სსრ კავშირის, ჩეხოსლოვაკიის, იტალიის, იაპონიის, ინდოეთის, ცეილონის კომუნისტური პარტიების წარმომადგენლებისათვის, რომელთა მიწვევას ყრილობაზე ვარაუდობდა ავსტრალიის კომპარტია.

ყრილობამ წუთიერი დუმილით პატივი სცა ავსტრალიის მშრომელი ხალხის გამოჩენილი შვილის, ავსტრალიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ალბახან გარდაცვლილის ლორენს გარკის ხსოვნას.

ყრილობაზე საანგარიშო მოხსენება გააკეთა ავსტრალიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამბ. ლორი ბარონმა. ჩვენი ყრილობა, თქვა ბარონმა, მიმდინარეობს იმ წელს, როცა ჩვენ აღვნიშნავთ მსოფლიო მნიშვნელობის ორ თარიღს — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავსა და მარქსის გენიალური ნაშრომის „კაპიტალის“ გამოქვეყნების 100 წლისთავს.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ავსტრალიელი კომუნისტები თავიანთ ყრილობას მართავენ რთულ საერთაშორისო ვითარებაში, როცა იმპერიალისტური შეერთებული შტატების იმპერიალისტები ზეიზეშად აწყობენ შეთქმულებებს იმ ხალხთა წინააღმდეგ, რომლებიც აღდგნენ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლველად. ავსტრალიის მმართველი წრეების ნებით ვიეტნამის ბინძურ კოლონიურ ომში წილი დაიდო ავსტრალიამაც.

მონოპოლისტები, აღნიშნულია მოხსენებაში, აწარმოებენ ფართო შეტევას ავსტრალიის მშრომელთა უფლებებზე და ცდილობენ წაართვან მათ ის ცალკეული მონაპოვრები, რომლებსაც მიაღწიეს გაფთრებულ კლასობრივ ბრძოლებში მრავალ წლის მანძილზე. არ წყდება გადასახადებისა და ფასების ზრდა, რის შედეგადაც მცირდება რეალური ხელფასი, ეცემა ხალხის ცხოვრების დონე.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

(დასასრული)

10. **დვალი** ოთარ ნიკოლოზის-ძე — მეფარავი.
11. **დმიტრენკო** ივანე მაკარის-ძე — მექანიკოსი.
12. **დუბროვი** ნიკოლოზ ტიმოთეს-ძე— ხარატი.
13. **ელბაქიძე** სამსონ ნიკოლოზის-ძე — მანდილორებელი.
14. **ზიკოვი** ანტონ ტიხონის-ძე — ზეინკალი.
15. **იზაშვილი** რევაზ პავლეს-ძე — განყოფილების უფროსი.
16. **იობიძე** ნიკოლოზ პორფილეს-ძე — ზეინკალი.
17. **იორდანიშვილი** გიორგი ნიკოლოზის-ძე — უფროსი საკონტროლო ოსტატი.
18. **კვირკელია** ვლადიმერ იაკობის-ძე — შემდუღებელი.
19. **კობალაძე** გიორგი გიორგის-ძე — თავარი ტექნოლოგის მოადგილე.
20. **კოსორუკოვი** ვიქტორ ივანეს-ძე — კონტროლიორი.
21. **კოტოვი** ალექსანდრე სიმონის-ძე — მოტორისტი.
22. **კოჭლავაშვილი** გრიგოლ ივანეს-ძე — ქარხნის დირექტორის მოადგილე.
23. **კრუტი** ტატიანა იაგორის ასული — ხარატი.
24. **კუჩატაშვილი** ივანე ადამის-ძე — ქლიბავი.
25. **ლავრიშჩევი** თევდორე ათანასეს-ძე — მეარმატურე.
26. **ლინჩენკო** მარიამ პეტრეს ასული — მწებავი.
27. **მიქაძე** შოთა ანდრიას-ძე —მედაზგი.
28. **მიქელაძე** ალექსანდრე სიმონის-ძე — მძღოლი.
29. **ორლოვი** კირილე თევდორეს-ძე — საამქროს საკონტროლო ბიუროს უფროსი.
30. **პეტროვი** კონსტანტინე ივანეს-ძე — საამქროს უფროსის მოადგილე.
31. **პოპელ** ბორის მიხეილის-ძე — საამქროს საკონტროლო ბიუროს უფროსი.
32. **რაკოვენკო** ვიქტორ ნიკოლოზის-ძე — ზეინკალი.
33. **საგინაშვილი** ალექსი სიკოს-ძე — ხარატი.
34. **სარქისიანი** ამაიაკ აიკის-ძე — მემოქლონე.
35. **სარქისიანი** ონიკ იაკობის-ძე — განყოფილების გამგე.
36. **სარიანი** ლევან სეროფის-ძე — მჭედელი.
37. **სიხარულიძე** გაბრიელ მიხეილის-ძე — საამქროს უფროსი.
38. **სტუკან** ალექსი ნიკოლოზის-ძე — საამქროს უფროსის მოადგილე.
39. **ტომჩუკ** ვასილ პაველს-ძე — მეთუნუქე.
40. **ფოჩხუა** ზალიკო ლევანის-ძე — მხერხავი.
41. **ფროლოვი** სტეფანე ნიკანდროს-ძე — საამქროს უფროსის მოადგილე.
42. **ქავთარაძე** პავლე ალექსანდრეს-ძე — განყოფილების უფროსის მოადგილე.
43. **ქარქაშაძე** ნოე აპოლონის-

ჩვენს ეკონ-ფერეიში

გვაცნობინებენ „კომუნისტის“ და საქდესის კორესპონდენტები

ᲞᲔᲓᲐᲒᲝᲒᲘᲡ ᲡᲐᲘᲣᲑᲘᲚᲕᲔᲠᲘ ᲡᲐᲦᲐᲔᲠᲘ

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მცირე დარბაზში გაიმართა საიუბილეო საღამო, რომელიც საქართველოს სსრ დამსახურებული პედაგოგის აირონ ბესარიონის-ძე ხოფერიას დაბადების 75 წლის და მუსიკალურ-პედაგოგიური მოღვაწეობის 50 წლისთავს მიეძღვნა.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა თბილისის IV მუსიკალური სასწავლებლის დირექტორმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა პედაგოგმა ქ. ჯიქიამ. თავის მოხსენებაში ა. ხოფერიას ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ პროფ. პ. ხუჭუამ აღნიშნა იუბილარის ღვაწლი ქართულ სამუსიკო ხელოვნებაში. ა. ხოფერიამ დაამთავრა თბილისის კონსერვატორიის ეოკალური ფაკულტეტი და 1925 წელს პირველად გამოვიდა საოპერო სცენაზე კიაზოს როლში („დაისი“). მას შემდეგ ახალგაზრდა მომღერალს არაერთხელ მიუღია მონაწილეობა ოპერებში („ფაუსტში“, „ტრავიატაში“, „ჯამბაზებში“, „პიკის ქალში“, „დემონში“...).

ა. ხოფერიას ღვაწლი ქართული საბჭოთა სამუსიკო ხელოვნების განვითარების საქმეში აღნიშნეს რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ს. ცინცაძემ, კონსერვატორიის დოცენტებმა შ. ქუთათელაძემ, ვ. ახობაძემ, საქართველოს კპ ლენინის რაიკომის მეორე მდივანმა ქ. ლაცაბიძემ.

ა. ხოფერიას საპასუხო სიტყვის შემდეგ გაიმართა კონცერტი, რომელშიც სხვებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს იუბილარის მოწაფეებმა.

ᲕᲘᲜᲛᲝᲣᲡᲕᲚᲔᲚᲗᲐ ᲑᲐᲦᲘ

ზესტაფონი. (საკ. კორ.). დიდი სოფელი როდია კლდეეთი, მაგრამ აქედან სამამულო ომში წასულთაგან ახზე მეტი ვაჟკაცი ვეღარ დაუბრუნდა მშობლიურ კერას. მათ ხსოვნას სათუთად ინახავენ თანასოფლელები.

კოლმეურნეობის გამგეობისა და პარტიული ორგანიზაციის თაოსნობით კლდეეთელმა კოლმეურნეებმა გააშენეს ხეხილის ბაღი შინმოუსვლელთა ხსოვნის უკვდავსაყოფად. იქ დაირგო იმდენივე ნამყენი ვაშლის ნერგი, რამდენი კაციც სოფელს ვერ დაუბრუნდა. მცენარეებს უკეთდება სახელობითი წარწერები.

ბაღში კეთდება აგრეთვე შინმოუსვლელთა კაპიტალური სტენდი.

● *ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲙᲐᲘᲠᲝᲓᲐᲜ*

ᲣᲙᲕᲓᲐᲕᲘ ᲤᲣᲩᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ

სოხუმი. (საქდესი). ბევრი სპპატიო სტუმარი ჩამოსულა მზიურ სოხუმში, მაგრამ გამოჩენილი ჩეხი კომუნისტი მწერლის იულიუს ფუჩიკის მეულლის ჩამოსვლა ყველაზე სასიხარულო მოვლენად იქცა. გუსტა ფუჩიკოვა მზიურ აფხაზეთში ჩამოვიდა ჩეხოსლოვაკიელ მწერალთა, ლიტერატურულ კრიტიკოსთა და ჟურნალისტთა ჯგუფთან ერთად.

უკვდავი ფუჩიკის ცოლსა და მეგობარს შეხვედრა მოუწყვეს 19-ე საშუალო სკოლაში, სადაც მივიდნენ ქალაქის თითქმის ყველა სკოლის კურსდამთავრებულნი, პიონერები და კომკავშირელები.

დარბაზი სულგანაბული უსმენდა გუსტა ფუჩიკოვას. მან ილაპარაკა, როგორ წერდა იულიუს ფუჩიკი სიკვდილმისჯილთა საკანში თავის უკანასკნელ წიგნს „რეპორტაჟი სახრჩობელადან“.

ამჟამად, თქვა გუსტა ფუჩიკოვამ, მე ვმუშაობ იულიუს ფუჩიკის ბიოგრაფიაზე. უკვე დავწერე ერთი წიგნი „მოგონებანი იულიუს ფუჩიკზე (ოკუპაცია)“. წიგნი გამოვიდა ჩეხურ, რუსულ, ესტონურ და პოლონურ ენებზე, ახლა კი ვწერ იულიუსის ცხოვრების შესახებ, დაწყებული ბავშვობიდან — 1939 წლამდე.

ᲪᲜᲝᲑᲘᲡᲛᲝᲧᲕᲐᲠᲔᲗᲐᲗᲕᲘᲡ

რა იქნება 20 წლის შემდეგ?

ᲐᲥᲢᲘᲜᲘᲙᲐ — ᲨᲐᲕᲘ ᲖᲦᲕᲐ

თუ ᲥᲕᲔᲧᲜᲐᲓ მშვიდობა იქნა, მალე, დაახლოებით 1980 წლისათვის ახდება სამხრეთ ევროპასა და ბალკანეთში მცხოვრები ხალხების უძველესი ოცნება — შეიქმნება უმოკლესი საზღვაო გზა, რომელიც ადრიატიკას დაუკავშირებს შავ ზღვას. ასეთ დასკვნამდე მივიდა, როგორც ფრანს პრესის საგენტო იუწყება, იტალიელ-იუგოსლავიის შერეული კომისია, რომელიც ამ პროექტზე მუშაობს 1965 წლიდან. კომისიას განხილული აქვს იგი უმოკლეს დროში დასამტკიცებლად წარუდგინოს თავის მთავრობებს.

მსგავსი პროექტები არაერთხელ წამოუყენებიათ წინათაც, ახალი პროექტი ითვალისწინებს იტალიის მხრიდან მდინარე იზონტოს, ხოლო იუგოსლავიის მხრიდან — სავისა და დუნაის აუზების გამოყენებას. ალპების გადასალახავად განზრახულია ერთადერთი გვირაბის მშენებლობა. გვირაბის სიგრძე 28 მეტრი იქნება. იგი დაიწყება იუგოსლავიის ტერიტორიაზე სოფელ იდრიასთან ამავე სახელწოდების მთის მდინარეზე, რომელიც იზონცას ერთვის, და დამთავრდება პოლიაში. აქედან არხი გაემართება ლიუბლიანასაკენ, შემდეგ — ზაგრებისაკენ და, ბოლოს, ბელგრადისაკენ მდინარე სავის გასწვრივ ან მისი კალაპოტით. ბელგრადიდან კი შავ ზღვამდე გემებს გზა ხსნილი აქვთ დუნაით.

ახალი სანაოსნო გზის გამტარუნარიანობა წელიწადში 50 მილიონი ტონა პოტენციური ტვირთბრუნვის ოთხი ავტოსტრადის ეკვივალენტური იქნება. ამასთან თავისი ძირითადი, სატრანსპორტო ფუნქციის გარდა მას გამოიყენებენ ჰიდროტექნიკური კომპლექსების მშენებლობებისთვისაც, რომლებიც ადამიანებს იაფ ელექტროენერგიასაც მისცემენ და არხის გასწვრივ მდებარე ველებსაც მორწყავენ.

როგორც საკდესის კორესპონდენტი **ვლ. პიშჩულინი** იტყობინება, წინასწარი გაანგარიშების თანახმად პროექტის განხორციელება დაახლოებით 500 მილიარდ ლირა დაჯდება.

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲔᲑᲔᲜ

„რა ელის კაცობრიობას ოცი წლის შემდეგ?“ — ასეთი კითხვით მიმართა იაპონიის სამეცნიერო-საკვლევმა ცენტრმა იაპონიის 50 გამოჩენილ მეცნიერს, — იტყობინება ტოკიოდან საკდესის კორესპონდენტი ი. ᲒᲝᲦᲝᲕᲘᲜᲘ.

მეცნიერთა უმრავლესობამ იწინასწარმეტყველა, რომ:

20 ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔᲑᲣᲚ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲙᲘᲑᲝ;

... ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲔᲫᲚᲔᲑᲐᲗ ᲛᲝᲗᲕᲐᲠᲔᲖᲔ ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲝᲑᲐ.

ამასთან მეცნიერებს აგრეთვე მიაჩნიათ, რომ ორი ათეული წლის შემდეგ კაცობრიობა ფართოდ გამოიყენებს ელექტრონულ-გამომთვლელ მანქანებს დაავადებათა დიაგნოზის დასადგენად. შეიქმნება ვაქცინა ჩვეულებრივი გაციების წინააღმდეგ და ჭამალი, რომელიც შეანელებს ორგანიზმის დაბერების პროცესს; შემუშავებულ იქნება აგრეთვე ადამიანისათვის ხელოვნური ორგანოების გადანერგვის ხერხები.

სხვა მიღწევებს შორის, რომლებსაც ადამიანები მოიპოვებენ 20 წლის შემდეგ, მეცნიერები ასახელებენ ატომური ენერგიის საშუალებით ზღვიდან სასმელი წყლის მიღებას, მთლიანად ავტომატიზებულ ავტომანქანებს, მფრინავ მატარებლებს, ერთი მილიონი ტონა წყალწყვის ტანკერებს, მკითხველებისათვის გაზეთის უშალოდ შინ გადაცემას, ვიდეოტელეფონებს და მრავალ სხვა სიახლეს.

ᲝᲯᲐᲮᲨᲘ 27 ᲨᲕᲘᲚᲘᲐ

ეს ᲝᲯᲐᲮᲘ არაჩვეულებრივად დიდია — იგი 29 წევრისაგან შედგება. შეიძლება ვინმემ თქვას, რომ ეს არც თუ ისე დიდია, რომ არსებობენ უფრო მრავალსულიანი ოჯახებიც. მაგრამ, როგორც ასოშიეიტედ პრესის საგენტოს კორესპონდენტი ირწმუნება, ამ ოჯახის წევრებში არ შედიან არც შვილიშვილები და არც შვილიშვილთა შვილები — ესენი მისის და მისტერ იბარების მხოლოდ ქალიშვილები და ვაჟიშვილები არიან. იბარების მრავალრიცხოვანი ოჯახი ცხოვრობს პონოლულში (ჰავაის კუნძულები, აშშ).

როგორც საკდესის კორესპონდენტი ი. ᲗᲔᲓᲔᲜᲘᲐᲜᲘᲗᲘ წერს, ეს ოჯახი საინტერესოა იმითაც, რომ ზოგიერთი მისი წევრი ფრიად უჩვეულო გარეგნობამია დაბადებული. ერთი ჩვილი ამ ქვეყანას მოევლინა რეაქტიული თვითმფრინავის საოლნში წყნარ ოკეანეზე გადაფრენის დროს; მეორე — ბორანზე, როცა ოჯახი სიდნეიში მიცურავდა; მესამე დაიბადა მანქანაში; მეოთხე, სასწრაფო დახმარების მანქანის კაბინაში. იბარებს სამჯერ შეეძინათ ტყუპები, და მათი ოჯახი კიდევ უფრო მრავალრიცხოვანი იქნებოდა, ოთხი შვილი რომ არ მოკვდომოდათ.

როგორ ზრდიან, ასწავლიან და ინახავენ ასეთ ოჯახს 50 წლის მამა და მისი 50 წლის მეუღლე ქალბატონი კარნეიი იბარა?, „უფროს შვილებს იმდენად ვეხმარებით, რომ შემდეგ მათ თვითონ შეძლონ თავიანთ უცროს და-ძმებზე ზრუნვა, მათთვის მატერიალური დახმარების გაწევა“,— ამბობს ბატონი იბარა, რომელიც ერთ-ერთი ფირმის მოიჯარადრედ მუშაობს.

უფროსი შვილები უკვე მოზრდილი არიან — სამი ვაჟი მფრინავია, ერთი ვაჟი და ერთი ქალიშვილი — ექიმები. ერთი ქალიშვილი ექთანად მუშაობს, ხოლო ერთი ვაჟი კანტორაში მსახურობს.

„ჩვენ ვერ შევძლებთ ყველა შვილს მივცეთ განათლება. მადლობა ღმერთს, უფროსები ზრუნავენ უმცროსებზე. მაგრამ ძალიან ხშირად მიხდება უარი ვუთხრა პატარებს ტკბილეულზე, რათა მორიგ ვაჟს ან ქალიშვილს ფული დავურიგო კოლეჯში შესასვლელად“, — ამბობს ქალბატონი იბარა, რომელსაც უკვე საკმაოდ შეეცვალა თმა.

ᲛᲔᲤᲔ ᲣᲠᲝ

ფართოდ ცნობილია მეფე ზარი, მეფე ზარბაზანი, რომლებიც კრემლშია დადგმული. მაგრამ არსებობს კიდევ მეფე ურო. დიახ, ნუ გიკვირთ — ყოფილა ასეთი „მეფეც“, ოღონდ არა მოსკოვში, არამედ ურალში, ქალაქ პერმთან.

მეფე უროს შექმნა გამოწვეული იყო პრაქტიკული საჭიროებით. რუსეთში შენდებოდა ზარბაზნის ქარხნები — პეტერბურგში და პერმის ახლოს — მოტოვილიხის სპილენძსადნობი ქარხნის ადგილზე. მეიარაღეთა წინაშე წამოიჭრა პრობლემა: ვიდრე დაიწყებდნენ ზარბაზნის ლულის ბურღვას, საჭირო გახდა ნამზადის გამოჭედვა ორთქლის მძლავრი ურო. დროთა კი მხოლოდ ამერიკასა და გერმანიას ჰქონდათ მსგავსი მექანიზმები.

ამ ძნელი პრობლემის გადაწყვეტას ხელი მოჰკიდა ქარხნის მშენებელმა, გამოჩენილმა ინჟინერმა, შემდგომში პეტერბურგის სამთო ინსტიტუტის დირექტორმა ნ. ვორონცოვმა. მან შეადგინა 50-ტონიანი ორთქლის უროს პროექტი. სიმძლავრითა და სიდიდით იმ დროს მსოფლიოში მას ბადალი არ მოეპოვებოდა.

გრდემლის ფუძე — შაბოტი 630 ტონას იწონიდა. შაბოტის გასაკეთებლად საჭირო მექანიზმის ზომებზე შეიძლება წარმოდგენა ვიქონიოთ თუნდაც ასეთი მონაცემებით: მოტოვილიხაში სპეციალურად აშენებული 20 ბოჯი 5 დღეღამის განმავლობაში განუწყვეტლივ ასხამდა თუჯს უზარმაზარ სამსხმელო ორმოში. ლითონის გაცივებას სამი თვე „დასჭირდა.

გიგანტი ურო სამ წელიწადს შენდებოდა. 1875 წლის 17 თებერვალს მოხდა მეფე უროს საზეიმო ამუშავება. მასზე პირველად გამოჭედეს ფოლადის ზოდი, რომელიც 1.000 ფუთს იწონიდა. დარტყმის ძალა აღწევდა 160 ტონას — ხუთჯერ მეტს, ვიდრე უცხოეთის იმდროინდელი ყველაზე მძლავრი ურო ებისა.

გვაოცებს იმ მექანიზმის დიდი სიზუსტე, რომლითაც ამ გიგანტურ უროს არეგულირებდნენ. პერმელი მხარეთმცოდნე ა. შარცი საინტერესო ექსპერიმენტის მოწმე იყო. მემანქანემ გრდემლზე დადო ჯიბის საათი და ზემოდან მრავალტონიანი ურო დაარტყა. მან განაცხადა, დარტყმა ისეა გაანგარიშებული, რომ საათის მხოლოდ მინა გატყდება, ისრები და მექანიზმი კი უვნებელი დარჩებაო. ასეც მოხდა...

თუ მეფე ზარი და მეფე ზარბაზანი პრაქტიკულად თითქმის ვერ გამოიყენეს, მეფე ურო პატიოსნად ემსახურა რუსეთს თითქმის სამოცი წლის განმავლობაში.

მოტოვილიხის მეტალურგებმა გადაწყვიტეს უკვდავყონ ურალელი ოსტატების ეს განსაცვიფრებელი ნაკეთობა. პერმის მოტოვილიხის რაიონში მთაზე ამმართულ მონუმენტს გიგანტური ორთქლის უროს ფორმა აქვს.

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲓᲘᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ

ᲘᲜᲯᲔᲠᲕᲘᲣ ᲙᲣᲚᲣᲐᲠᲔᲑᲨᲘ

ნონა სართულით მაღლა ცხოვრობს, **ალექსანდრა ნიკოლაუ** კი სასტუმრო „უკრაინის“ მე-6 სართულზე.

სატურნირო ცხრილშიც ასეა — გაფრენდაშვილი ერთი სეფეტურით მაღლაა.

დასაწყისში ნიკოლაუ დაწინაურდა, შვიდი ტურის შემდეგ ერთი ქულით უსწრებდა ნონას. და აი, მერვე ტურში ნონა და ალექსანდრა ერთმანეთს შეხვდნენ. გაიმარჯვა ნონამ.

მანამდე კი...

31 მაისს გვიან ღამით ნიკოლაუმ უხასიათომ დატოვა „ავანგარდის“ დარბაზი. მას **კირა ᲖᲕᲝᲠᲘᲙᲘᲜᲐ** თითქმის „ფაცერში“ ჩყვავდა და... მოულოდნელად გამოეპარა ორ სვლაში შამათის გამოცხადების საშუალება.

— ხვალ ნონასთან მაინც გამოიმეხდეს ბედი, — უთხრა მან ზვორიკინას.

...დილის 9 საათზე ალექსანდრა უკვე ჭადრაკის დაფასთან იჯდა და ემზადებოდა. მაგიდაზე იდგა საყვავილე სურნელოვანი ყვავილები.

— ნონა თეთრებით არის და უთუოდ მოგებაზე ითამაშებს. ამას ახლანდელი მდგომარეობა

● ● ●

სურათებზე: ზევიდან ქვევით — ნ. გაფრენდაშვილი, ნ. ალექსანდრია და ბ. ᲖᲣᲠᲐᲒᲘᲜᲫᲘ, ა. ნიკოლაუ.

ფოტოები

„ავტორისა“

ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ

თბილისში სპარტაკიადების დღეებია. სპორტულ ბაზებზე მიმდინარეობს საქართველოს მეოთხე საიუბილეო და მოსწავლეთა მეცხრამეტე სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეხვედრები.

მოსწავლე მძლეოსანთა პაექრობაში იგრძნობა თბილისელთა უპირატესობა და პირველი ადგილების თვალსაჩინო ნაწილიც მათ ეკუთვნით. შედეგები ცუდი როდია. მაგალითად, 80 მეტრზე თარჯრბენში ლ. ᲖᲐᲠᲜᲘᲫᲘᲡᲐᲛ გაიმეორა გოგონათა შორის რესპუბლიკური რეკორდი (11,7 წამი), რომელიც მასვე ეკუთვნოდა. ესტაფეტაში 4X100 მეტრზე გაიმარჯვეს თბილისელებმა — 44,5 წამი.

მაგიდის ჩოგბურთელებს ასპარეზობა რუსთავში ჰქონდათ. გუნდურ ჩათვლაში პირველობა დაიპყრეს თბილისელებმა, რომლებმაც ფინალში დაამარცხეს აჭარის გუნდი — გოგონებმა 5:0, ᲮᲐᲑᲣᲙᲔᲑᲛᲐ 5:4.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ—ᲩᲘᲚᲔ

კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგეს წინ ჩვენმა ჩოგბურთელებმა დევისის თასის გათამაშებაში. მათ ჩილეს გუნდთან პირველი დღის ერთეულთა შეჯიბრებაში ორი გამარჯვება მოიპოვეს, შემდეგ 8 ივნისს მოიგეს წყვილთა შეჯიბრებაც და მატჩის დამთავრებამდე ერთი დღით ადრე მოიპოვეს ევროპის ზონის („ა“ ჯგუფი) ფინალში მონაწილეობის უფლება.

გუშინ გაიმართა ერთეულთა უკანასკნელი ორი შეხვედრა. ამ დღეს ა. **ᲛᲔᲢᲠᲔᲕᲔᲚᲘ** არ გამოსულა. სტუმრებმა მხოლოდ ერთი შეხვედრა მოიგეს, მეორე კი წვიმის გამო შეწყდა.

ამრიგად, სსრ კავშირისა და ჩილეს ჩოგბურთელთა გუნდების მატჩის საბოლოო შედეგია 3:1 საბჭოთა ჩოგბურთელების სასარგებლოდ.

ᲤᲣᲠᲜᲘᲠᲔᲑᲘ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲡᲐ ᲓᲐ ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲨᲘ

მოსკოვის საერთაშორისო ჭადრაკი ტურნირზე 9 ივნისამდე გათამაშდა 13 ტური.

მეცამეტე ტურის დაწყებამდე **ᲞᲝᲠᲢᲘᲨᲛᲐ** ბრძოლის განუახლებლად თავი დამარცხებულად ცნო **ᲑᲝᲠᲘᲡᲝᲕᲘᲡᲗᲐᲜ** გადადებულ პარტიაში, შემდეგ კი პაექრობა ჰქონდა **ᲡᲞᲐᲡᲙᲘᲡᲗᲐᲜ** და მე-40 სვლაზე გაიმარჯვა.

ᲞᲐᲮᲛᲐᲜ-ᲨᲐᲢᲔᲘᲜᲘᲡ, ᲤᲘᲚᲘᲞ-ᲑᲝᲒᲝᲪᲝᲕᲘᲡ, ᲞᲔᲢᲠᲝᲡᲘᲐᲜ-ᲣᲚᲛᲐᲜᲘᲡᲐ და **ᲙᲐᲠᲔᲚ-ᲑᲘᲚᲘᲙᲘᲡ** პარტიები

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲓᲜᲔᲜ

მონტევიდეო, 9 ივნისი. (საკდესი). მსოფლიოს ვიეტ-ჩემპიონებმა — იუგოსლავმა კალათბურთელებმა დაამარცხეს ოქროს ოლიმპიური მედლების მფლობელი—ამერიკის შეერთებული შტატების სპორტსმენები ანგარიშით 73:72. ეს ამერიკელთა პირველი დამარცხებაა. პოლონელებმა მოუგეს არგენტინელებს — 65:58.

ახლა მხოლოდ იუგოსლავიის გუნდი იბრძვის დაუმარცხებლად. სატურნირო ცხრილს სათავეში უდგას სსრ კავშირის ნაკრები, რომელმაც აგრეთვე ოთხი გამარჯვება მოიპოვა, მაგრამ ერთით მეტი ითამაშა (ჩვენს კალათბურთელებს ქულათა მნიშვნელოვნად უკეთესი სხვაობაც აქვთ). საბჭოთა ნაკრები კვირას შეხვდება იუგოსლავიის გუნდს. ამ ორთაბრძოლაში, რომლითაც ტურნირი დამთავრდება, გამოვლინდება ახალი მსოფლიო ჩემპიონი.

ᲬᲧᲐᲚᲑᲣᲠᲗᲔᲚᲔᲑᲘ ᲥᲐᲚᲔᲑᲡ ᲪᲓᲘᲐᲜ

ლვოვში რამდენიმე დღეა გრძელდება დიდი საერთაშორისო ტურნირი წყალბურთში სსრ კავშირის, უნგრეთის, იუგოსლავიის, შვეიცარიისა და ჩეხოსლოვაკიის ნაკრებთა, აგრეთვე ლვოვის გუნდის მონაწილეობით.

დიდი ინტერესი გამოიწვია ევროპის ჩემპიონის სსრ კავშირის ნაკრებისა და ოლიმპიური ჩემპიონების — უნგრელ წყალბურთელთა შეჯიბრებამ. მატჩი შეუპოვარი გამოდგა. ᲒᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ საბჭოთა წყალბურთელებს ხვდათ ანგარიშით 6:5. აღსანიშნავია, რომ ამ შეხვედრაში 11-დან 10 ბურთი გატანილ იქნა ოთხმეტრიანი საჯარიმო დარტყმით.

8 ივნისს იუგოსლავებმა მოუგეს ლვოველ წყალბურთელებს 5:3, შვეიდებმა — ჩეხოსლოვაკიის გუნდს 8:5.

„Ა“ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲧᲒᲣᲤᲘ

ᲑᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ „ა“ კლასის მეორე ჯგუფის ფეხბურთელთა გუნდებმა მორიგი ტურის მატჩები. ᲩᲕᲔᲜᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ სამივე გუნდს გასვლითი შეხვედრები ჰქონდა.

ᲩᲣᲘᲑᲣᲚᲘᲡ „მეშახტე“ ივანოვს ეწვია და აქ თამაშობდა ადგილობრივ „ტექსტილშრომელთან“. მეტოქეებს ბურთი არ გაუტანია — ფრე.

ᲛᲐᲮᲩᲘ ყაზანში „რუბინსა“ და ბათუმის „დინამოს“ შორის დაიმართა. ᲛᲐᲡᲢᲐᲕᲠᲓᲐ მასპინძელთა გამარჯვებით ანგარიშით 2:0.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ „ლოკომოტივმა“ კალინინგრადში დაამარცხა ადგილობრივი „ბალტიკა“ 1:0.

ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲔᲚᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲔᲚᲔᲑᲘ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ

8 ᲘᲕᲜᲘᲡᲡ მოსკოვს ეწვია ავსტრიის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრები. სტუმრებს შერეულ ეროვნულ ნაკრები ᲔᲠᲘᲜᲐ ᲑᲝᲢᲙᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲔᲠᲘᲜᲐᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲛᲝᲗᲐᲛᲐᲨᲔ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲜᲐᲡ ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔᲑᲘᲗ 0:2.

ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲘᲡ „სანტოსი“ ბრაზილელ ეწვია და ამ მოუგო ადგილობრივ გუნდს 3:2. „სანტოსიდან“ სამივე გოლის ავტორი ᲞᲔᲚᲔ იყო.

ᲔᲕᲠᲝᲠᲘᲡ ჩემპიონატის შესახებ ჩვენ მატჩში პორტუგალიის ნაკრებს ოსლოში პაექრობა ჰქონდა ნორვეგიის გუნდთან. გამარჯვებული პორტუგალელებმა 2:1. სტუმრებიდან ორივე ბურთი ეისებიერმა გაიტანა.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲓᲜᲔᲜ

ᲛᲝᲜᲢᲔᲕᲘᲓᲔᲝ, 9 ივნისი. (საკდესი). მსოფლიოს ვიეტ-ჩემპიონებმა — იუგოსლავმა კალათბურთელებმა დაამარცხეს ოქროს ოლიმპიური მედლების მფლობელი—ამერიკის შეერთებული შტატების სპორტსმენები ანგარიშით 73:72. ეს ამერიკელთა პირველი დამარცხებაა. პოლონელებმა მოუგეს არგენტინელებს — 65:58.

ახლა მხოლოდ იუგოსლავიის გუნდი იბრძვის დაუმარცხებლად. სატურნირო ცხრილს სათავეში უდგას სსრ კავშირის ნაკრები, რომელმაც აგრეთვე ოთხი გამარჯვება მოიპოვა, მაგრამ ერთით მეტი ითამაშა (ჩვენს კალათბურთელებს ქულათა მნიშვნელოვნად უკეთესი სხვაობაც აქვთ). საბჭოთა ნაკრები კვირას შეხვდება იუგოსლავიის გუნდს. ამ ორთაბრძოლაში, რომლითაც ტურნირი დამთავრდება, გამოვლინდება ახალი მსოფლიო ჩემპიონი.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲜᲐᲨᲠᲝᲛᲘ ᲐᲠᲐᲑᲣᲚ ᲔᲜᲐᲖᲔ

ამ დღეებში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატმა შ. ᲙᲣᲠᲓᲦᲔᲚᲐᲫᲘᲚᲘᲛᲐ კაიროდან მიიღო რიდვან იბრაჰიმის წერილი.

არაბი მეცნიერი გასცნობია გასულ წელს მოსკოვში გამოცემულ შ. კურდღელაძვილის წიგნს „1952 ᲬᲚᲘᲡ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲐ ᲓᲐ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲑᲐᲢᲝᲜᲝᲑᲘᲡ ᲛᲐᲠᲪᲮᲘ ᲔᲒᲕᲘᲞᲢᲨᲘ“ და უთარგმნია იგი არაბულ ენაზე. წიგნი უკვე მზად არის გამოსაცემად, — იტყობინება რიდვან იბრაჰიმი, — იმედი მაქვს ბატონი ასადათი, 1952 წლის რევოლუციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარე, გამონახავს დროს და ინებებს დაწეროს წინასიტყვაობა არაბული თარგმანისათვის.

ყველაზე მეტად რამაც აღმაფრთოვანა თქვენს წიგნში, — წერს იგი, — ეს გახლავთ ისტორიულ მოვლენათა გადმოცემის მეთოდი, არათანასწორუფლებრივ ხელშეკრულებათა ტექსტების ოსტატური ანალიზი, მუშათა კლასისა და ხალხის როლის ჩვენება, როგორც გიგანტური ძალისა, რომელმაც აიძულა იმპერიალიზმი და რეაქცია უკუქცეულიყვნენ განმათავისუფლებელი ბრძოლის წინაშე და რომელმაც მოამზადა წანამძღვრები იმისათვის, რომ გამოჩენილიყო რევოლუციური აკანგარდი ახალგაზრდა „თავისუფალი ოფიცრების“ სახით.

მაინტერესებს, განაგრძობთ თუ არა კვლევას ეგვიპტის რევოლუციის მიღწევების, ეგვიპტის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ეკონომიკაში, კულტურის და პოლიტიკის სფეროებში გატარებული რევოლუციური რეფორმების შესახებ. მწამს, რომ თქვენი შესანიშნავი წიგნი სანიმუშო შესაავლია ჩვენი რევოლუციის მეხსნაველად.

შემდეგ წერილის ავტორი ვრცლად ჩერდება იბრაჰიმი ეგვიპტის მიღწევებზე, მისი პოლიტიკური, ეკონომიური, კულტურული ცხოვრების დონის ამაღლებაზე.

ᲞᲐᲢᲐᲠᲐ „ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲘ“

ფოტოტიუდი გ. ჯაუელისა.

ᲒᲐᲖᲗᲘ „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ

ᲜᲔᲒᲐ გვიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გადავუხადოთ ყველა იმ ორგანიზაციას, ინსტიტუტს და მეგობარს, ვინც გვიზიარა ჩვენი დიდი მწუხარება ჩვენი ᲡᲘᲚᲔ ᲑᲐᲠᲜᲐᲩᲘᲚᲘᲡ-ᲫᲔ ᲒᲝᲒᲣᲐᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲪᲕᲚᲔᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ.

Გ. ᲒᲝᲒᲣᲐᲡ ᲝᲯᲐᲮᲘ.

რედაქტორი

დ. მᲔᲓᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

Გ. Ვ. ᲪᲘᲜᲪᲐᲫᲔ — ᲤᲘᲚᲝᲡᲝᲤᲘᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა **გენო ვასილის-ძე ᲪᲘᲜᲪᲐᲫᲔᲛ** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე **ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად** დაიცვა დისერტაცია თემაზე — **„აუცილებლობა და შემთხვევითობა“.**

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან არსებულმა უმაღლესმა სატესტაციო კომისიამ დაამტკიცა გ. ვ. ᲪᲘᲜᲪᲐᲫᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭება.

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

ᲠᲐ ᲕᲭᲘᲡᲠᲝᲗ, ᲠᲐ ᲔᲠᲗᲕᲘᲡᲔᲑᲘᲠᲝᲗ

10 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

16.55 — გადაცემათა პროგრამა, 17.00 — ყველაზე პატარებისათვის „ცეროდენას ეკრანი“, 17.10 — ოქტომბრელთათვის „ფანქარას გამოფენაზე“, 17.30 — საქართველოს კვირეული მოსკოვში — საქართველოს მეცნიერები (გადაცემა თბილისიდან ცენტრალური ტელევიზიისათვის), 18.00 — „კინომოგზაურთა კლუბი“ (გადმოც